

**ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციები მეტროპოლიტენის რაიონებში გახლდათ CAMELOT ღონისძიების მთავარი თემა ოპორტოში**

7-8 ივნისს, ALDA-მ მიიღო მონაწილეობა [პროექტის CAMELOT](#) ღონისძიებაში, რომელსაც მასპინძლობდა [პორტოს მეტროპოლიტენი](#), პორტუგალია (AMP). ორდღიანი შეხვედრის დროს პარტნიორებმა გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება **ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციების (ITI) მართვასთან დაკავშირებით**.

ღონისძიება **ევროპარლამენტის წევრის, მანუელ პისაროს**, გამოსვლით დაიწყო, რომელმაც წარმოადგინა ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციების როლი მეტროპოლიტენებში და ხაზი გაუსვა ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ჩართულობის მნიშვნელობას ევროკავშირის ინსტიტუტების ფუნქციონირებაში.

**ჩრდილოეთის რეგიონული საკოორდინაციო და განვითარების კომისიის პრეზიდენტმა, ანტონიო კუნიაშ**, წარმოადგინა თავისი რეგიონის გამოცდილება ჩრდილოეთ 2030 ოპერატიული პროგრამის შემუშავებისა და მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც აგროვებს ევროკავშირის დაფინანსებას ამ ტერიტორიისთვის. მისი თქმით, პორტუგალიაში დეცენტრალიზაციის შესახებ ახალი კანონმდებლობის განხორციელების ფარგლებში, ინტეგრირებული ტერიტორიების ინვესტიციები (ITI) შეკრებს დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც იზიარებენ იგივე მოსაზრებას.

კუნას პრეზენტაციაზე გამომხატურებით, **ლისაბონის მეტროპოლიტენის აღმასრულებელმა ოფიცერმა (AML), ფილიპე ფერეირამ**, და **ვისენტე პინტომ, მიტროპოლიტენის აღმასრულებელმა დირექტორმა AMP** წარმოადგინეს 2020 წლის სტრატეგიების შედეგები და მათი მოლოდინები 2030 წლისთვის.

ანალოგიურად, ბარსელონას მიტროპოლიტენის, მილანის მიტროპოლიტენის, ბარის მეტროპოლიტენის, ქალაქ ზაგრების, შტუტგარტის რეგიონის და კრაიოვას მუნიციპალიტეტის მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი გამოცდილება ინტეგრირებული ტერიტორიების ინვესტიციების ინსტრუმენტის (ITI) მართვაში. ასევე, გამოხატეს შემფოთება ევროკავშირის დაფინანსების ცენტრალიზაციის ტენდენციასთან დაკავშირებით. **ALDA-მ მიიწვია მონაწილეები შეერთებულმა ადგილობრივი დემოკრატიის სამუშაო ჯგუფს**, რომელიც მხარს უჭერდა ITI-ის მართვის მოდალობების აუცილებელი ევოლუციის ადვოკატირებას და მოქალაქეების ჩართულობის გადრმავებას ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციებით დაფინანსებული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში.

**ALDA მხარს უჭერს ინტეგრირებული ტერიტორიების ინვესტიციების (ITI) მენეჯმენტის მოდალობის აუცილებელ ევოლუციას და მოქალაქეთა ჩართულობის გადრმავებას ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციებით დაფინანსებული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში**

ოთხშაბათს, 8 ივნისს, შეხვედრის მეორე დღეს, სამუშაო ჯგუფმა მოინახულა პროექტი „ლეჩას მწვანე დერეფანი“. 29 მილის სიგრძის მდინარე ლეჩა სათავეს იღებს სანტო ტირსოში, 475 მ სიმაღლეზე და ჩაედინება ზღვაში მატოსინჰოსში. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იგი ითვლებოდა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ მდინარედ. 2016 წელს, ოთხმა მუნიციპალიტეტმა, რომლებშიც

მდინარე მიედინება - მატოსინჰოსი, მაია, ვალონგო და სანტო ტირსო - გააერთიანა ძალები და დაიწყო მუშაობა მდინარე ლეჩას კალაპოტის გამყარებაზე, სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და განსაზღვრაზე პორტოს მეტროპოლიტენის ზონაში.

აღნიშნულმა მუნიციპალიტეტებმა წარმოადგინეს გარემოსდაცვითი პროექტი „ლეჩას მწვანე დერეფანი“, ძლიერი კულტურული, ეკონომიკური, ტურისტული და სოციალური ხასიათით, რომელიც ხელს შეუწყობს მდინარე ლეჩას ნაპირების ლანდშაფტისა და გარემოს გაუმჯობესებას. ამავდროულად, დააკავშირებს სანაპირო ზოლსა და ხმელეთს სპეციალური არხის მეშვეობით, რომელიც განკუთვნილი იქნება მსუბუქი ტრანსპორტისთვის.

გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს საფეხმავლო და ველო ბილიკის მშენებლობას, რომელიც შექმნის მოძრაობის ალტერნატივას ფეხით და ველოსიპედისთვის განკუთვნილ ტერიტორიებს შორის ყოველდღიური მოგზაურობისთვის. **პროექტი „ლეჩას მწვანე დერეფანი“ იქნება პირველი გადადგმული ნაბიჯი მდინარის სრული დაბინძურების პრევენციისაკენ** და მდინარის ნაპირების ლანდშაფტის გაუმჯობესებისკენ, რაც ასევე გულისხმობს მდინარის ნაპირების კეთილმოწყობას და დასასვენებელ ზონად გარდაქმნას. გაუმჯობესებისა და განახლების პროცესი უკვე დაწყებულია ჩართული მუნიციპალიტეტების ურბანული განვითარების სტრატეგიის გეგმების (PEDUS) მეშვეობითა და ევროკავშირის ფონდების მხარდაჭერით.

საბოლოოდ, პარტნიორები შეიკრიბნენ პორტოს მისერიკორდიას ეკლესიასა და მუზეუმში (MMIPO), რომელიც მდებარეობს პორტოს ისტორიულ ცენტრში რუა დას ფლორესში. შენობაში, რომელიც იყო დაწესებულებების სათაო ოფისი მეთექვსმეტე საუკუნის შუა პერიოდიდან 2013 წლამდე. საუკუნეების განმავლობაში შენობამ განიცადა რამდენიმე ცვლილება, უახლოესი იყო მისი გარდაქმნა და ადაპტაცია მუზეუმის ფუნქციებისთვის. მუზეუმი მიზნად ისახავს პორტოს სანტა კაზა და მისერიკორდიას ისტორიის და მისი ინსტიტუციური მიზნების გავრცელებას. ასევე ხელოვნების კოლექციების ჩვენებას, იდენტურობის რესურსების ნაკრების მიწოდებით გზით. მუზეუმში ვიზიტი არის შესაძლებლობა, გაიგოთ მეტი ქალაქის ამ ტერიტორიის წარსულისა და აწმყოს შესახებ.